# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 203

„22“ ივლისი 2016 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №4ბ-ს მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.35.006.071) სს „ჯი პი სი“-სთვის (ს/ნ: 201991229) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე თანხმობის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივითვ:თმმართველობის კოდ:ქსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის“ მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №4ბ-ს მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.19.35.006.071) სს „ჯი პი სი“-ისთვის (ს/კ №01991229) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 20 ივლისის №28.04.617 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №4ბ-ს მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.19.35.006.071) სს „ჯი პი სი“-სთვის (ს/კ №201991229) პირდაპირი განკარგვისწესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 220 (ორას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი